www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2016

წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები

13.10.2017

www.geostat.ge

13.10.2017

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2016 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2016 წლის ბოლოსათვის 51,3 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 8,0 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2016 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 12,9 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2013-2016 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2013		2014		2015		2016	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**3855,7**	**100,0**	**5575,3**	**100,0**	**11063,2**	**100,0**	**12932,1**	**100,0**
აქედან:								
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	275,8	7,2	286,2	5,1	548,8	5,0	655,8	5,1
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	23,2	0,6	20,0	0,4	78,2	0,7	90,7	0,7
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, ეროვნული ვალუტით	1442,4	37,4	2210,5	39,7	-	-	-	-
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, უცხოური ვალუტით	792,2	20,5	841,7	15,1	-	-	-	-
ფასიანი ქაღალდები	219,2	5,7	571,2	10,2	1860,7	16,8	2012,1	16,6

არაფინანსური კორპორაციების ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ 2016 წლის ბოლოსათვის 2,0 მილიარდი ლარი შეადგინა.

2016 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 2,5 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 52,6.

2016 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 32,8 მილიარდ ლარს გაუტოლდა (აქედან, მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 9,3 მილიარდ ლარს).

მთლიანი ვალდებულებებიდან 8,4 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით. მთლიანი ვალიდან არარეზიდენტების მიმართ 2016 წლის ბოლოსათვის არსებულმა ვალმა (საგარეო ვალი) 5,7 მილიარდი ლარი შეადგინა.

ფინანსური წარმოებულების ღირებულება 80,9 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2016 წლის ბოლოსათვის 18,5 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2013-2016 წლებში



არაფინანსური კორპორაციების მიერ 2016 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 1,0 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო შემოსავლებმა 4,4 მილიარდი ლარი შეადგინა, რომლის სტრუქტუ- რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

[1] კონვერტირებული ლარში (2016 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსი).



რაც შეეხება ვალის მომსახურებას, 2016 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 6,5 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით - 1828,2 მილიონი ლარია, ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 72,1 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 586,1 მილიონი ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge